ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4886824

ნომერი: AR1737496

თარიღი : 02.03.2020

გაცემის თარიღი : 06.03.2020

გაცნობის თარიღი : 06.03.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალექსანდრე ქართველიშვილის ქუჩა, N7.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კოღონია პ/ნ 01009006684
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ბაგების დასახლება, კორპუსი 3, ბინა 52

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1)....არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : თქვენ დაინტერესებაში არსებულ ნაკვეთზე გადის მდინარეთა წყალდაცვითი ზონა საჭიროა წარმოადგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს პოზიცია ჩასატარებელ სამუშაოებთან მიმართებაში.

2) ასევე გაცნობებთ საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებატრეობს საერთაშორისო აეროპორტის „ დაბრკოლებებისგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონი“-ს არეალში , სადაც დადგენილია ზღვრული სიმაღლეები , რომლის ზედა ნიშნულის ზევით, გარკვეული სახით იზღუდება შენობების სიმაღლეები. საქართველოს საჰაერო კოდესის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით.
თქვენს შემთხვევაში აღნიშნული საპროექტო მიწის ნაკვეთის სიმაღლის დონის აბსოლიტური ნიშნული (რუკის გრაფიკული მონაცემების მიხედვით , სამშენებლო მოედნის შემაღლება , საშუალო ზღვის დონიდან (MSL)MMM. m) ფიქსირდება 525-მ-ზე , რომლის მაღლა, ზევით მშენებლობა დაუშვებელია, აღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან სამსახურისთვის უცნობია არსებული რელიეფის შემაღლების ნიშნულები წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა და საჭიროების შემთხვევაში წარმოსადგენი გექნებათ შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს თანხმობ

3) თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.
ასევე ფიქსირდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელი მესაკუთრე შპს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა

4) ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი: ამ ველში ჩაიწეროს ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ, სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით- ნებისმიერი ახალი მშენებლობის შემთხვევაში, გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და იმ შენობა/ნაგებობების მშენებლობისა, რომლებიც შენდება იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული).
ასევე ვინაიდან ტერიტორიაზე ფიქსირდება ხე-ნარგავები დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავებიდან თავისუფალ ტერიტორიაზე სადაც დაცული იქნება ხეებთან მიმართებაში 3 მეტრიანი ხოლო ბუჩქების შემთხვევაში 1.5 მეტრიანი დაშორების სამშენებლო ნორმები. სხვა შემთხვევაში უნდა წარმოდგინოთ არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა და ტაქსაცია სადაც მითითებული იქნება თუ რომელი ხე–ნარგავი უნდა გადაირგოს ან მოიჭრას. ასევე აღნშნული უნდა დაიტანოთ სქემაზეც.
არსებულ ხე-მცენარეებზე დატანილ იქნას ტაქსაციის შესაბამისად ნუმერაცია და გაითვალისწინეთ, რომ მიშენებულ ნაწილსა და არსებულ ხე-მცენარეებს შორის დაცული უნდა იყოს მინიმალური 3 მეტრიანი მანძილი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.